

## სარჩევი

1 შესავალი .....	1
------------------	---

## ცხრილები

ცხრილი 1: დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები.....	2
ცხრილი 2: განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები .....	6
ცხრილი 3: ბეჭდვითი შეცდომების და შეუსაბამობების შესწორება.....	10

# 1 შესავალი

წინამდებარე დანართი წარმოადგენს ESIA-ს საჯარო განხილვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების ნუსხას, რომლის შედეგადაც მოხდა ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადება ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში განხილვისა და დამტკიცებისთვის წარსადგენად.

ამ დოკუმენტში შეტანილი იქნა შესწორებები შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებისთვის:

- პროექტის პასუხი დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე, C2 დანართის შესაბამისად
- ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესთან დაკავშირებული მითითებების განახლება, რაც ამჟამად დასრულებულია
- უმნიშვნელო ცვლილებები საინჟინრო პროექტში
- განმარტებები დოკუმენტის ინტერპრეტირების გასაადვილებლად
- ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომების შესწორება.

ეს ცვლილებები შეტანილია შემდეგ ცხრილებში:

- ცხრილი 1: დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები
- ცხრილი 2: განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები
- ცხრილი 3: ბეჭდვითი შეცდომების და შეუსაბამობების შესწორება.

დანართ E-ში მოცემულ ვალდებულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, მაშინაც თუ ცხრილში ეს პირდაპირ არ არის აღნიშნული, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება შეეხება ამ ვალდებულებას ESIA-ის ყველა სხვა თავში, მაგ., 5, 10, 12 თავებში და დანართ D-ში. ESIA-ს ქვეთავების ნომრები, ქვემოთ მოცემულ ცხრილებში აღნიშნავს ქვეთავს და ცხრილს საბოლოო ანგარიშში და გამოყენებული უნდა იქნას თავზე ან ცხრილზე მითითებისთვის.

**ცხრილი 1: დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები**

დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
1	1.5.3	-	დამატებულია ინფორმაცია დანართ C3-ის შესახებ.
1	1.6	ცხრილი 1-1	შეცვლილია დანართ C-ს სტრუქტურა და დამატებულია დანართი C2 - ESIA-ს საჯარო განხილვის ფაზაზე მიღებულ შენიშვნებზე პასუხები და C3 - ESIA-ს ანგარიშში შეტანილი ცვლილებების ნუსხა.
1	1.6	-	ამოღებულია ტექსტი საჯარო განხილვის ფაზის დამთავრებასთან დაკავშირებით შენიშვნების მიღების შესახებ.
3	3.9.6	-	MENRP-ის # 2 შენიშვნის პასუხად ამოღებულია მითითება ჩამდინარე წყლებზე და დამატებულია სქოლიო ჩამდინარე წყლების დაგეგმილ ჩაშვებასთან დაკავშირებით; განმარტებულია რომ გაწმენდილი საკანალიზაციო წყლების დაგეგმილი ჩაშვება მოსალოდნელი არ არის.
3	3.12	-	ქვეთავი განახლებულია ინფორმაციით ESIA-ს საჯარო განხილვის დასრულების და ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
4 (ქართული)	-	-	MENRP-ის ## 8-9 შენიშვნების პასუხად, გასწორდა მცირე შეუსაბამოები ანგარიშის ქართულ ვერსიაში; ტექსტი შეესაბამება ინგლისურ ვერსიას.
4	4.2.3	-	MENRP-ის # 6 შენიშვნის პასუხად გასწორდა ტექსტი ვარიანტ B-ს სიგრძის შესახებ.
4	4.4.2	სურათი 4-1	MENRP-ის ## 4 და 10 შენიშვნების პასუხად დაემატა ახალი ქვეთავი. ქვეთავში აღწერილია RP-001a შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთის განლაგების შერჩევა.
4	4.4.4	სურათი 4-3	MENRP-ის ## 4 და 10 შენიშვნების პასუხად დაემატა ახალი ქვეთავი. ქვეთავში აღწერილია RR-004a შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთის განლაგების შერჩევა.
4	4.4.5	სურათი 4-4	MENRP-ის ## 4 და 10 შენიშვნების პასუხად დაემატა ახალი ქვეთავი. ქვეთავში აღწერილია მდინარე სუფსის კვეთების შეცვლილი განლაგების შერჩევა.
4	4.5	-	MENRP-ის # 7 შენიშვნის პასუხად დამატებულია მითითება ქვეთავ 5.5-ზე, სადაც უფრო დეტალურადაა აღწერილი ნავთობისგან დაცლის უპირატესი ვარიანტი.
4	4.5.1	-	MENRP-ის # 7 შენიშვნის პასუხად დაემატა განმარტებითი ტექსტი პროექტისთვის განხილული ნავთობისგან დაცლის ვარიანტების შესახებ.
4	4.5.2	-	MENRP-ის # 8 შენიშვნის პასუხად, დაემატა მითითება 5.5.5 ქვეთავ ზე, სადაც აღწერილია გაუქმებული მილის დანაწევრების პროცესი.

დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
საბოლოო ანგარიში

დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
5	5.2.4	ცხრილი 5-2	MENRP-ის ## 5 და 11 შენიშვნების პასუხად, 5.2.4 ქვეთავს (მილსადენის კვეთები) დაემატა კვეთების ამომწურავი გეგმა (ცხრილი 5-2). დაემატა შენიშვნა იმის შესახებ, რომ პირუტყვის/ცხვრის გადასარეკი ბილიკების იდენტიფიცირება მიმდინარეობს მიწაზე უფლებების შეძენის პროცესის ფარგლებში; მოპოვებული ინფორმაცია, შესაბამისი მხარეების თანხმობებთან ერთად ჩართული იქნება სამშენებლო ნებართვის განაცხადში.
5	5.3.6	-	MENRP-ის # 12 შენიშვნის პასუხად, დაემატა განმარტება იმის შესახებ, რომ მილსადენებს შორის დაშორების მანძილი ევუენება დოკუმენტ L51861-ს - მილსადენის გახეთქვა და პარალელური მილსადენების დაშორება, მოზადებული მილსადენების კვლევის საერთაშორისო საბჭოს მიერ (2002).
5	5.4.13	-	MENRP-ის # 13 შენიშვნის პასუხად, დაემატა ტექსტი, სადაც განმარტებულია რომ HDD განთავსდება მდინარე სუფსის აქტიური ზონის ქვეშ და გარეთ. დაემატა განმარტებითი ჩანართი, სადაც მოცემულია HDD საინჟინრო პროექტის შესახებ გეოტექნიკური ანგარიშების შეჯამება.
5	5.5.4	-	MENRP-ის # 21 შენიშვნის პასუხად, დაემატა შენიშვნა იმის შესახებ, რომ ნავთობისგან დაცლის და გაწმენდის დროს არ იქნება გამოყენებული წყალი და შესაბამისად თავიდან იქნება აცილებული ნავთობიანი წყლის წარმოქმნა.
5	5.5.5	-	MENRP-ის # 8 შენიშვნის პასუხად, უფრო გასაგებად იქნა განმარტებული, რომ მონაკვეთები ადგილზე შეივსება ჰაერით, გარდა მთავარი გზების და მდინარეების ქვეშ არსებული მონაკვეთებისა.
5	5.7.1	-	MENRP-ის # 20 შენიშვნის პასუხად, დაემატა მითითება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #424 დადგენილებაზე და განმარტება იმის შესახებ რომ კომპლექსური აღდგენის მართვის გეგმას მოამზადებს კონტრაქტორი.
5	5.8.6	ცხრილი 5-8	MENRP-ის # 21 შენიშვნის პასუხად, დაემატა განმარტება იმის შესახებ, რომ კონტრაქტორის ნარჩენების მართვის განხორციელების გეგმაში ნარჩენები კლასიფიცირებული იქნება ნარჩენების მართვის კოდექსის და ახალი დადგენილების მიხედვით. ნავთობისგან დაცლის და გაწმენდის სამუშაოების დროს არ იქნება გამოყენებული წყალი. შესაბამისად, თავიდან იქნება აცილებული ნავთობიანი წყლის წარმოქმნა. ნარჩენების გადამუშავება ან განთავსება in situ მოსალოდნელი არ არის. მოსალოდნელია, რომ ნარჩენები მთლიანად გადატანილი იქნება ნარჩენების მართვის ლიცენზირებულ ობიექტებზე. ცხრილ 5-8-ში დამატებული იქნა ნარჩენების კლასიფიკაცია ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.
5	5.8.6	ცხრილი 5-9	MENRP-ის # 23 შენიშვნის პასუხად, ცხრილი 5-9 განახლდა და დაემატა ნავთობისგან დაცლის დროს წარმოქმნილი ემისიები.
6	6.3.4	ცხრილი 6-3	MENRP-ის # 21 შენიშვნის პასუხად, დაემატა ჩანაწერი „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის #426 დადგენილების შესახებ.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
7	7.3.3	-	MENRP-ის # 14 შენიშვნის პასუხად, დაემატა განმარტება, რომ ეროზიის მე-3 ან უფრო დაბალი კლასი მისაღებია WREP, BTC და SCP მილსადენებისთვის, რამდენადაც ნიადაგის დანაკარგი შედარებით მცირეა და მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს მართვის რუტინული ღონისძიებების გატარებით.
7	7.5, 7.5.3	-	MENRP-ის # 15 შენიშვნის პასუხად, დაემატა ინფორმაცია ჰაერის ხარისხის წინა-სამშენებლო მონიტორინგის შესახებ, რომელიც დაიწყო 2016 წლის ივლისში.
7	7.7.4	-	MENRP-ის # 1 შენიშვნის პასუხად, დაემატა ახალი მონაკვეთი სატყეო ფონდის მიწაზე.
7	7.7.4	-	MENRP-ის # 19 შენიშვნის პასუხად, დაემატა ინფორმაცია მდინარე სუფსაში პოტენციურად არსებული თევზის მიგრირებადი სახეობების შესახებ.
7	7.8.3	-	MENRP-ის # 16 შენიშვნის პასუხად, ქვეთავი 7.8.3 შეიცვალა საქართველოს მესამე ეროვნული კომუნიკაციის ანგარიშის მონაცემების საფუძველზე.
7	7.10.1	-	MENRP-ის # 17 შენიშვნის პასუხად, დაემატა ინფორმაცია მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ლანდშაფტის დაცვის ზონაში კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასების შესახებ (HIA).
7	7.10.8	-	MENRP-ის # 17 შენიშვნის პასუხად, დაემატა ახალი ქვეთავი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ლანდშაფტის დაცვის ზონაში კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასების შესახებ (HIA).
9	9.2	-	ტექსტი შეცვლილია ისე, რომ ასახულიყო საჯარო კონსულტაციების დასრულება.
9	9.7.1	-	შეცვლილია იმ ადგილების ნუსხა, სადაც ESIA-ს ანგარიშის პროექტი იყო ხელმისაწვდომი გაცნობისა და შენიშვნებისთვის.
9	9.7.2	ცხრილი 9-6	დაემატა ახალი ქვეთავი, სადაც მოცემულია ESIA-ს საჯარო განხილვის განცხადებების შესახებ დეტალები.
9	9.7.3	-	დაემატა ახალი ქვეთავი, სადაც აღწერილია ESIA-ს გამოხმაურების მექანიზმი.
9	9.7.4	ცხრილი 9-7	შეიცვალა ქვეთავის სათაური; დაკონკრეტებულია, რომ ის ეხება საჯარო შეხვედრებს. დაემატა ახალი ცხრილი 9-7, სადაც მოცემულია დეტალები ESIA-ს საჯარო განხილვის დროს ჩატარებული შეხვედრების შესახებ. დამატებულია მითითება დანართ C2-ზე, სადაც მოცემულია კონსულტაციის პროცესის შედეგები და შენიშვნებზე პასუხები.
9	9.9	-	დაემატა ტექსტი იმის შესახებ, რომ ხეების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიის და საქართველოს წითელი ნუსხის და CITES-ის სახეობების მოჭრის შემთხვევაში შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებების შესათანხმებლად ჩატარდა შეხვედრა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურთან. შეხვედრა ჩატარდა MENRP-ის # 18 შენიშვნის პასუხად.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

დაინტერესებული მხარეების შენიშვნებზე გაცემული პასუხები და საჯარო განხილვის შემდგომი განახლებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
10	10.3.4	-	MENRP-ის # 14 შენიშვნის პასუხად, დაემატა სქოლიო იმის შესახებ, რომ მე-3 კლასი გამოიყენება როგორც კრიტერიუმი WREP, BTC, SCP და SCPX მილსადენებისთვის და ზოგადად მიჩნეულია მისაღებად.
10	10.5.3	-	MENRP-ის # 2 შენიშვნის პასუხად, დაემატა განმარტებითი ტექსტი, რომ ზედაპირულ წყლებში უწყვეტი დაგეგმილი ჩაშვება მოსალოდნელი არ არის.
10	10.5.4	-	MENRP-ის # 3 შენიშვნის პასუხად, დაემატა ჰიდროტესტირების მართვის გეგმის შემოთავაზებული შინაარსის აღწერა.
10	10.7.3	-	MENRP-ის # 19 შენიშვნის პასუხად, დაემატა თევზის მიგრირებად სახეობებზე HDD-ის სამუშაოებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედებების შეფასება.
10	10.8.3	-	MENRP-ის # 23 შენიშვნის პასუხად, დაემატა განმარტება, რომ ნავთობისგან დაცლის დროს წარმოქმნილი უკონტროლო ემისიების მოცულობა ძალიან მცირე იქნება და შემოიფარგლება ნავთობის ბუფერულ რეზერვუარებში გადატანის დროს გამოყოფილი ორთქლის მცირე მოცულობებით; ემისიები იქნება ხანმოკლე.
10	10.10.2	-	MENRP-ის # 17 შენიშვნის პასუხად, დაემატა ინფორმაცია ინფორმაცია მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ლანდშაფტის დაცვის ზონაში კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასების შესახებ (HIA).
10	10.10.4	-	MENRP-ის # 17 შენიშვნის პასუხად, დაემატა ახალი ვალდებულება: მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ლანდშაფტის დაცვის ზონაში ჩასატარებელი სამუშაოების განრიგი და დანადგარების და მასალების გადაზიდვა ჯვრის მონასტერთან მისასვლელი გზის (AR69) საშუალებით წინასწარ შეთანხმდება მცხეთის ისტორიული ძეგლებით დაინტერესებულ მხარეებთან, რომელთა შორისაა NACHP, საქართველოს საპატრიარქო და დასახლების ლიდერები (27-19). დაემატა HIA-ის დასკვნა.
15	-	-	MENRP-ის # 12 შენიშვნის პასუხად, დაემატა მითითება დოკუმენტ L51861-ზე - მილსადენის გახეტიკვა და პარალელური მილსადენების დაშორება, მომზადებული მილსადენების კვლევის საერთაშორისო საბჭოს მიერ (2002).
დანართი E	-	-	MENRP-ის # 17 შენიშვნის პასუხად, დაემატა ახალი ვალდებულება: მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ლანდშაფტის დაცვის ზონაში ჩასატარებელი სამუშაოების განრიგი და დანადგარების და მასალების გადაზიდვა ჯვრის მონასტერთან მისასვლელი გზის (AR69) საშუალებით წინასწარ შეთანხმდება მცხეთის ისტორიული ძეგლებით დაინტერესებულ მხარეებთან, რომელთა შორისაა NACHP, საქართველოს საპატრიარქო და დასახლების ლიდერები (27-19).

**ცხრილი 2: განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები**

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
1	1.5.3	-	გაიზარდა საჯარო განხილვის დროს გამოქვეყნებული მასალების ნუსხა და დაემატა ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში (ESBR) და ტექნიკური რეზიუმე.
1	1.6	ცხრილი 1-1	ESIA-ს ანგარიშის სტრუქტურას დაემატა ტექნიკური რეზიუმეს აღწერა.
2	-	-	დაემატა $dB_{nr}$ (სახეობა)-ის განმარტება.
2	-	-	გაფართოვდა HIA აბრევიატურის განმარტება და დაემატა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება (კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში).
3	3.8	-	დაემატა ტექსტი კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასების შესახებ; შეფასება ჩატარდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ისტორიულ ძეგლებზე WREP SR პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედებების შესაფასებლად.
4	4.4	ცხრილი 4-1	დამატებულია განმარტება იმის შესახებ თუ რატომ შეიცვალა სუფსის საექსპორტო მილსადენის განლაგება ESIA-ს ანგარიშის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ.
4	4.4.3		გადამოწმებისთვის საჭირო კვლევების დასრულების გამო ამოღებულია ვალდებულება 17-38.
5	5.2.1	ცხრილი 5-1	განლაგების შეცვლის შემდეგ ცხრილ 5-1-ში განახლდა მდინარე სუფსის კვეთების შესახებ დეტალები. დაემატა მითითება 4.4.5 ქვეთავსა და დანართ A-ზე, სადაც შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მოძიება კვეთის განლაგების შესახებ.
5	5.2.3	-	შეიცვალა გზის ახალი მონაკვეთების რაოდენობა ცხრიდან რვა მონაკვეთზე, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო. ამოღებულია მითითება AR373a-ზე.
5	5.4.4	ცხრილი 5-4	შეიცვალა გზის ახალი მონაკვეთების რაოდენობა ცხრიდან რვა მონაკვეთზე, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო. ცხრილ 5-4-ში დამატებულია ახლად იდენტიფიცირებული AR54; ამოღებულია მითითება AR373a-ზე; განახლებულია გზების მთლიანი სიგრძე.
7	7.1.1	-	განახლდა ინფორმაცია ფონური მდგომარეობის კვლევების შესახებ, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო 2016 წელს ჩატარებული კვლევების შედეგები.
7	7.7.1	-	განახლდა ინფორმაცია ფონური მდგომარეობის კვლევების შესახებ, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო 2016 წელს ჩატარებული კვლევების შედეგები.
7	7.7.3	ცხრილი 7-11	2016 წლის გაზაფხულზე ჩატარებული კვლევების შემდეგ განახლდა მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მცენარის სახეობების ნუსხა.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
7	7.7.5	ცხრილი 7-12 ცხრილი 7-13	განახლდა ქვეთავი და ცხრილები და მათში ჩართულია 2016 წლის გაზაფხულზე ჩატარებული ეკოლოგიური კვლევების შედეგები.
7	7.7.6	ცხრილი 7-14	დაემატა სტრიქონი მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ბალახოვანი მცენარეების შესახებ.
7	7.8.4	ცხრილი 7-16	HDD-ის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების უბნის მდებარეობა და AR373a. შეიცვალა ჩანაწერი AR373-ის შესახებ, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო.
7	7.9.1	ცხრილი 7-17	HDD-ის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების უბნის მდებარეობა და AR373a. შეიცვალა ჩანაწერი AR373-ის შესახებ, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო.
7	7.10.6	-	დაემატა შენიშვნა იმის შესახებ, რომ AR223 არ იქნა შესწავლილი, რამდენადაც ეს გზა გვიან დაემატა პროექტის სამუშაოს მოცულობას და ამიტომ არქეოლოგიური დაკვირვება ჩატარდება მშენებლობის დროს.
7	7.10.7	ცხრილი 7-18	დაემატა AR223 და AR225 (კვლევები ჩატარდა საჯარო განხილვის შემდეგ)
7	7.10.9	-	კულტურული მემკვიდრეობის სენსიტიურობების ჩამონათვალს დაემატა AR69.
8	8.4	ცხრილი 8-8	კვეთის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია საექსპორტო მილსადენის HDD-სა და AR373a-ის მიმდებარედ მიერთების უბნის სიახლოვეს არსებული რეცეპტორების შესახებ ჩანაწერი.
8	8.4	ცხრილი 8-8	AR373a (აღარ არის საჭირო) შეიცვალა AR373-ით; AR373-ის რეცეპტორების ნუსხას დაემატა ფერმა.
9	9.4.1	-	ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩამონათვალს დაემატა ქვემო ქართლი და გარდაბანი, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი ხელისუფლების დაინტერესებულ მხარეებს.
9	9.6	-	შეიცვალა ქვეთავის სათაური შემდეგნაირად: „9.6 კონსულტაციების შედეგები საჯარო განხილვამდე“.
10	10.7.2	ცხრილი 10-12	განახლდა ცხრილი 10-12; დაემატა 2016 წლის გაზაფხულზე ჩატარებული კვლევების დროს გადამოწმებული მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მცენარეთა სახეობების მდებარეობები.
10	10.7.3	-	პირველი ქვეთავის სათაური შეიცვალა შემდეგნაირად: „ჰაბიტატის და პოპულაციის დაკარგვა და ფრაგმენტირება“
10	10.7.3	ცხრილი 10-13	ბუნებრივი ჰაბიტატის/მცენარეულობის დაკარგვის შესარბილებლად დაემატა ახალი ვალდებულება 17-51.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
10	10.7.3	ცხრილი 10-14	მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მცენარეებთან დაკავშირებით დამატებულია ახალი ვალდებულებები 17-45 - 17-49 და 17-51. ვალდებულება 17-38 გაუქმდა, რადგანაც კვლევები უკვე დასრულებულია. შესაძლო ზემოქმედების ფორმულირება შეიცვალა შემდეგნაირად: „მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ბალახოვანი მცენარეები (CITES-ის და კავკასიის ენდემური სახეობები)“; შესწორდა შესაძლო და ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელობები C3 საშუალო/C2 დაბალი მიშვნელობებით შესაბამისად და გაუქმდა ვალდებულება 17-23, რამდენადაც ის აღარ ეხებოდა ამ ზემოქმედებას.
10	10.7.4	-	ამოღებულია ვალდებულება 17-38, რამდენადაც კვლევები დასრულებულია. დამატებულია ახალი ვალდებულებები 17-45 -17-49 და 17-51.
10	10.8.2	ცხრილი 10-16	HDD-ის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების უბნის მდებარეობა და AR373a. შეიცვალა ჩანაწერი AR373-ის შესახებ, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო.
10	10.8.3	ცხრილი 10-18	HDD-ის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების უბნის მდებარეობა და AR373a. შეიცვალა ჩანაწერი AR373-ის შესახებ, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო.
10	10.9.2	ცხრილი 10-19	HDD-ის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების უბნის მდებარეობა და AR373a. შეიცვალა ჩანაწერი AR373-ის შესახებ, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო.
10	10.9.3	ცხრილი 10-23 ცხრილი 10-24	HDD-ის განლაგების ცვლილების გამო ამოღებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის HDD კვეთის მიერთების უბნის მდებარეობა და AR373a. შეიცვალა ჩანაწერი AR373-ის შესახებ, რამდენადაც AR373a აღარ არის საჭირო.
10	10.10.3	ცხრილი 10-26	ზემოქმედების შეფასების ცხრილში დამატებულია AR69 და AR223.
11	11.3.4	-	დამატებულია ახალი ქვეთავი, რომელშიც აღწერილია ჯვრის მონასტრის კონსერვაციის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები.
11	11.4	ცხრილი 11-1	დამატებულია ჯვრის მონასტრის სამუშაოების შეფასება.
11	11.4.3	-	ლანდშაფტზე კუმულაციურ ზემოქმედებებში შეტანილია ჯვრის მონასტრის სამუშაოები.
11	11.4.8	-	კულტურულ მემკვიდრეობაზე კუმულაციურ ზემოქმედებებში შეტანილია ჯვრის მონასტრის სამუშაოები.
13	13.3.1	-	ბუნებრივი და სოციალური გარემოს მონიტორინგის და მართვის გეგმაში (ESMMP) დამატებულია ახსნა-განმარტებითი ტექსტი. შეცვლილია კონტრაქტორების გარემოსდაცვითი საქმიანობის მონიტორინგის, ინსპექტირების და აუდიტის განრიგის შესახებ ჩანაწერი.
13	13.4.4	-	დამატებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბუნებრივი და სოციალური მართვის გეგმები მომზადდება BP-ს და მისი მთავარი სამშენებლო კონტრაქტორების მიერ.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

განახლებები, დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი	აღწერა
13	13.4.4	-	ამოღებულია მითითება ESMMP-ზე როგორც პროექტის მოთხოვნების წყარო დოკუმენტზე.
14	14.3.1	ცხრილი 14-1	შეიცვალა AR373a (აღარ არის საჭირო) AR373-ით.
14	14.3.3	-	ამოღებულია მდინარე სუფსის კვეთები, რამდენადაც განლაგება შეთანხმებულია.
14	14.4	-	ამოღებულია მითითება ძველი ინფრასტრუქტურის შესახებ, რამდენადაც პროექტის მიზანია გეოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილება.
15	-	-	დაემატა ახალი ლიტერატურული წყაროები კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების, ჰორიზონტალურად მიმართული ბურღვის თევზებზე ზემოქმედების და მილსადენებს შორის დაშორების მანძილის შესახებ.
16	-	-	გაიზარდა ავტორების ნუსხა, დაემატა: ICOMOS საქართველო, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, UNESCO.
დანართი A			კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის ასახვის მიზნით განახლდა რუკები. უკეთესად აღსაქმელად დაემატა მსხვილმასშტაბიანი რუკები.
დანართი B2	-	-	A17 საკითხს დაემატა ვალდებულება 17-51.
დანართი B3	-	-	განახლდა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგების ასახვის მიზნით; დაემატა ახალი ვალდებულებები და გაუქმდა ის ვალდებულებები, რომლებიც აღარაა შესაბამისი.
დანართი E	-	-	დაემატა ახალი ვალდებულებები 17-45 - 17-49 და 17-51. გაუქმდა ვალდებულებები 17-38, 17-42 და 27-18, რამდენადაც ისინი აღარაა შესაბამისი.

**ცხრილი 3: ბეჭდვითი შეცდომების და შეუსაბამობების შესწორება**

ბეჭდვითი შეცდომების და შეუსაბამობების შესწორება			
თავი	ქვეთავი	ცხრილი / სურათი / ვალდებულება	აღწერა
4	4.2.3	-	ამოღებული იქნა თბილისის ეროვნულ პარკში შეჭრა, როგორც მარშრუტის A ვარიანტის გასწვრივ არსებული შეზღუდვა, რამდენადაც თბილისის ეროვნული პარკის საზღვრების შეცვლის გამო ეს შეზღუდვა აღარ არსებობს.
4	4.2.3	-	შეზღუდვების ჩამონათვალს დაემატა მცხეთის ლანდშაფტის დაცვის ზონა; მარშრუტის B და C ვარიანტების მიზანია ამ შეზღუდვის მინიმუმამდე შემცირება.
4 (ქართული)	-	-	შესწორდა მცირე უზუსტობა ანგარიშის ქართულ ვერსიაში; ტექსტი შეესაბამება ინგლისურ ვერსიას.
6	6.3.4	ცხრილი 6-3	საქართველოს მთავრობის დადგენილება #42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“: შესწორდა მიღების თარიღის ფორმატის თანმიმდევრულობის დასაცავად.
7	7.5.2	ცხრილი 7-5	შესწორდა მდინარე ჯაჭვისხევის კოორდინატები.